




საია უარყოფითად აფასებს საგანგებო მდგომარეობის დასრულების შემდეგ შემოსაღებ რეგულაციებს

13 მაისს საქართველოს პარლამენტს წარედგინა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის წევრების - დიმიტრი ხუნდაძის, ილია ნაკაშიძის, ვლადიმერ კახაძის, ზურაბ ხაჩიძის, კობა ნაკაიძის და დიმიტრი მხეიძის საკანონმდებლო ინიციატივა (N07-3/450) [„**ქვეყნის** ჯანმრთელობის შესახებ](#) [საქართველოს კანონში შესატან ცვლილებასთან დაკავშირებით](#). კანონპროექტის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ მისი ინიცირება განპირობებულია იმით, რომ საქართველოს მთავრობას საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდეგაც შეეძლოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება პანდემიისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით საშიში ეპიდემიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამ მიზნით, იცვლება [ქვეყნის](#) ღონისძიებების [განმარტება](#) და გარდა კონკრეტული პირის მიმართ გასატარებელი ღონისძიებებისა, შესაძლებელი ხდება საჯარო დაწესებულებების საქმიანობის, პირთა მიმოსვლის, საკუთრების, შრომის, პროფესიული ან ეკონომიკური საქმიანობის, უკანონო მიგრაციის/საერთაშორისო დაცვის, ფიზიკურ პირთა სოციალური ღონისძიებების ჩატარების მიზნით თავშეყრის კანონმდებლობისგან

ჭ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



, კარანტინის წესების დარღვევაზე იწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის კი 10000 ლარის ოდენობით, ხოლო ამ ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, დადგება [სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა](#). იმ პირობებში, როდესაც 2020 წლის 23 აპრილს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში [განხორციელებული ცვლილებები პრობლემურია და მასში დაცული არ არის საქმის სამართლიანად განხილვისა ნორმების სიცხადის პრინციპები, საქართველოს მთავრობისთვის ამ უფლებამოსილების მინიჭება ზრდის კონსტიტუციით დაცულ უფლებებში გაუმართლებლად ჩარევის შესაძლებლობას](#).

აღნიშნული საკანონმდებლო პაკეტით ასევე გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში [ცვლილებების](#) შეტანა, რომლის მიხედვითაც პანდემიისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით საშიში ეპიდემიის გავრცელების საფრთხის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელი ხდება სისხლის სამართლის პროცესების დისტანციურად ჩატარება.

როგორც მოგეხსენებათ, საგანგებო მდგომარეობის დროს სხდომები ტარდება დისტანციურ რეჟიმში, ხოლო ამ ტიპის სხდომებზე დასწრება არის პრობლემური და ხშირ შემთხვევაში [შეუძლებელი](#).

საგანგებო მდგომარეობის პირობებში საია ვერ ახერხებდა თბილისის საქალაქო სასამართლოში 21 მარტიდან 4 მაისამდე სასამართლო სხდომების მონიტორინგს. საია-მ სისხლის სამართლის მიმართულებით დისტანციურად მიმდინარე სხდომების მონიტორინგის შესახებ განცხადებით მიმართა ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის საქალაქო და თელავის რაიონულ სასამართლოებს, საიდანაც გვეცნობა, რომ დისტანციურ სხდომაზე ჩართვა ტექნიკურ პრობლემებს წარმოშობდა.

შესაბამისად, ასეთ პირობებში **მაღალია სასამართლოების მხრიდან თვითნებობის ხარისხი და აბსტრაქტული ტექნიკური ხარვეზის მიზეზით სხდომის საჯაროობის უგულვებელყოფა**.

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულმა ცვლილებამ პრაქტიკაში არ გამოიწვიოს სასამართლოს მხრიდან საჯაროობის პრინციპის უგულვებელყოფა. ამ დრომდე არსებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ სასამართლოების მხრიდან მაღალია თვითნებობა სხდომაზე საჯაროობის პრინციპის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოვუწოდებთ საქართველოს პარლამენტს, კანონპროექტის განხილვისას გაითვალისწინოს განცხადებაში მოტანილი

არგუმენტები, საქართველოს კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის სტანდარტები და მათი გათვალისწინებით

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



მიიღოს ცვლილებები კანონმდებლობაში.